საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  მინისტრს

ბატონ გიორგი მარგველაშვილს

მცხოვრები  რუსთავი მე-19მ/რ, 7-88-ში,

ზვიად აბესაძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა:

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ,  2012 წლის აგვისტოში სეუს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი (ტურიზმის მიმართულებით)  რომელიც ვფლობდი 30%-ან დაფინანსებას სკალირებული ქულების, ხოლო 70%-ანს  სოციალური  სტატუსის მიხედვით, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, მობილობით ჩავირიცხე  აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის II კურსზე.

ამ ფაკულტეტზე გადმოსვლისას რა თქმა უნდა გავითვალისწინე გრანტის შენარჩუნების შესაძ-ლებლობა, რასაც გვიდასტურებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არსებული ოფიციალური ინფორმაცია,  მობილობისას სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტის შენარჩუნების შესახებ (იხილეთ დანართი 1), სადაც გარკვევით წერია, რომ სტუდენტს სასწავლო გრანტი უნარჩუნდება მხოლოდ აკრედიტებულ სასწავლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, მხოლოდ სემესტრის დასასრულს გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ გრანტი არ მინარ-ჩუნდება. ამჟამად შეჩერებული მაქვს სტუდენტის სტატუსი და არ დავიშვები გამოცდებზე.

არასწორი ოფიციალური ინფორმაციის გამო დაზარალებულებმა გრანტის შენარჩუნების თხოვნით განცხადებით მივმართეთ ეროვნულ ცენტრს, ხოლო განათლების სამინისტროს მივმართეთ თქვენთან შეხვედრის თხოვნით.

ორივე განცხადების პასუხად მივიღეთ შეტყობინება, რომ მინისტრის ბრძანების საფუძველზე გრანტები ვერ შეგვინარჩუნდებოდა (იხ. დანართი 2).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი უდანაშაულობა და შემინარჩუნოთ სასწავლო გრანტები,  რათა შევძლო სწავლის გაგრძელება აგრარულ უნივერსიტეტში;  ამით შემინარჩუნებთ ღირსებას, რაც ადამიანისთვის უპირველესი ფასეულობაა,  და ამავე დროს აგვაცილებთ მე და ჩემ ოჯახს წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელ  ფინანსურ და მორალურ ზიანს.  სურვილის შემთხვევაში შეგხვდებით სიამოვნებით.

პატივისცემით ზვიად აბესაძე.  10.01.2013